საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ქართველიშვილის ქ. N7-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.19.16.003.071)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: სამშენებლო ხელთათმანების ფაბრიკა

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: შ.პ.ს „ჯეპრო” / ა. კენჭიაშვილი

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით).

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ასევე საექსპერტო დასკვა მოიცავს:

მ) ღია (გარე) ავტოსადგომის შეფასებას;

გამოკვლევა:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

- საპროექტო შენობაში განთავსებულია რამდენიმე ფუნქციური დანიშნულების სივრცე, კერძოდ: საწარმოო ფართობი (სადაც უშუალოდ იქმნება პროდუქცია), პროდუქციისა და მასალების შესანახი ანუ სასაწყობო ფართობი, ადმინისტრაციის ოთახები და მცირე სამზარეულო. გამომდინარე აქედან საქმე გვაქვს რამდენიმე დაკავებულობის ჯგუფთან, ესენია: სამრეწველო ჯგუფი (**სმ-1**), სასაწყობო ჯგუფი (**სწ-1**) და საქმიანი ჯგუფი (**სქ**).

პროექტის ავტორის მიერ სწორად არის განსაზღვრული დაკავებულობები, რაც შეესაბამება „წესების“ 306.2, 311.2 და 304 ქვეთავების მოთხოვნებს.

- დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ: საპროექტო შენობების ყოველ ცალკეულ ფართობს ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით მიკუთვნებული აქვს გარკვეული სივრცის სტატუსი (საწარმოო ფართს ინდუსტრიული, ადმინისტრაციის ოთახებს - საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) სივრცის, სამზარეულოს - კომერციული სამზარეულოს, ხოლო სასაწყობო ფართობს - სასაწყობო სივრცის) და შემდეგ ამ სივრცეების ფართობები, ასევე ცხრილის მიხედვით, გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- პროექტის ავტორის მიერ საპროექტო შენობისთვის მიკუთვნებულია კონსტრუქციის ტიპი II-B, რაც შესაძლებელია შენობის დაკავებულობების, სიმაღლისა და სართულის ფართობის გათვალისწინებით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან (II-B) და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. შენობის სიმაღლე მიწის დონესა და სახურავის ყველაზე მაღალი ზედაპირის საშუალო სიმაღლემდე განსაზღვრულია სწორად და არის 6,65 მეტრი.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

საპროექტო შენობას დაკავებულობებიდან, დაკავებულობის დატვირთვიდან, და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)), ესაჭიროება 2 გასასვლელი (შენობიდან გამოსასვლელი), აგრეთვე სივრცეებიდან თითო ან 2 გასასვლელი. აუცილებელი 2 გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები ერთმანეთისგან დაშორებულია შენობის ან ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტ მანძილზე, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს. განვიხილოთ გასასვლელები ცალ-ცალკე:

- შენობის +0,00 ნიშნულზე განთავსებულ საწარმოო ფართობს (სმ-1) აქვს ორი გასასვლელი გზა-კარი. აქედან ერთი გზა-კარი მოწყობილია "ა" ღერძზე („2-3" მონაკვეთზე), რომელიც მიემართება პირდაპირ შენობის გარეთ, გასასვლელის შიგა ეზოში (გასასვლელის შიგა ეზოს სიგანე, კონსტრუქცია და ღიობები აკმაყოფილებს 1027.4.1 და 1027.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს). მეორე გზა-კარი მოწყობილია „2" ღერძზე („დ-გ[1]" მონაკვეთზე), რომლის საშუალებით ჯერ ვხვდებით კორიდორში/დერეფანში, ხოლო შემდგომ „დ" ღერძზე („2-1" მონაკვეთზე) მოწყობილი გზა-კარის საშუალებით - ეზოს იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ საზოგადოებრივ სივრცეს ემიჯნება;

- 0,00 ნიშნულზე განთავსებულ საწყობს (სწ-1) აქვს სივრციდან გასასვლელი 1 გზა-კარი, რაც საკმარისია 1015.1 ცხრილის თანახმად. აღნიშნული გზა-კარი მოწყობილია „2" ღერძზე („ბ[1]-ბ" მონაკვეთზე) და მისი საშუალებით ჯერ ვხვდებით საწარმოო

ფართობში (სწ-1), შემდგომ რომელიმე ზემოთგანხილული, შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარის საშუალებით - ეზოში, ხოლო შემდგომ - საზოგადოებრივ სივრცეში (ამ შემთხვევაში, ვინაიდან ერთმანეთში გამავალი სივრცეები წარმოადგენს სმ-1 და სწ-1 დაკავებულობებს, გასვლა ასეთი მომიჯნავე სივრცეების გავლით დასაშვებია 1014.2 ქვეთავის გამონაკლისის თანახმად);

- 0,00 ნიშნულზე განთავსებულ ადმინისტრაციის ოთახსა და სამზარეულოს გააჩნია თითო გასასვლელთან მისადგომის გზა-კარი, რომელთა საშუალებით ჯერ ვხვდებით კორიდორში/დერეფანში, შემდგომ ასევე ზემოთგანხილული, „დ“ ღერძზე მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარის მეშვეობით - ეზოში, ხოლო შემდგომ საზოგადოებრივ სივრცეში;

- რაც შეეხება მე-2 სართულს, აქ პირველ სართულზე მოწყობილი გზა-კარის გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი (კიბის ჩათვლით) არ აღემატება 23 მ-ს, დაკავებულობის დატვირთვა მცირეა და ამიტომ საკმარისია სართულიდან ერთი გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია შიგა გასასვლელის 1 გზა-კიბის სახთ. აღნიშნული კიბე არ არის შემოზღუდული, რაც სართულიანობის გათვალისწინებით დასაშვებია 1009.3 ქვეთვაის N1 გამონაკლისის მიხედვით. მე-2 სართულზე განთავსებულ თითოეულ ადმინისტრაციის ოთახს (სქ) აქვს სივრციდან გასასვლელი თითო გზა-კარი, რაც საკმარისია 1015.1 ცხრილის თანახმად.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

- შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხდება დაუბრკოლებლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით.

ე) **გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:**

- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ და მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს;

- დერეფნების სიგანე არის 1,2მ-ზე მეტი და აკმაყოფილებს 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის მოთხოვნებს.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბის სიგანე არის 0.95 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 ქვეთავის და 1009.4 ქვეთავის N1 გამონაკლისის მოთხოვნებს (დაკავებულობა არის სც-2-ისგან განსხვავებული, ხოლო დაკავებულობის დატვირთვა არის 50-ზე ნაკლები). კიბეებზე მოწყობილია სახელურები და მოაჯირები 1012 და 1013 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;

ვ) **მისაწვდომობის შეფასება:**

- საპროექტო შენობას გააჩნია 1 მთავარი შესასვლელი, რომელიც მოწყობილია „დ“ ღერძზე („2-1“ მონაკვეთზე) და არის მისაწვდომი;

- რაც შეეხება მეორე სართულზე განთავსებულ ადმინისტრაციის ოთახებს, 1104.4 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზი არ სჭირდება;

- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი;

- შშმ პირთა გადადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად ;

- დაცულია აგრეთვე 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული მისაწვდომი სადგომების რაოდენობაც (1 სადგომი);

- შენობაში არის ერთი მისაწვდომი ტუალეტი, რომელიც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- საპროექტო შენობის გარე კედლებს, შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B) და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის გათვალისწინებით, 602 ცხრილის თანახმად, ხანძარმედეგობა არ ესაჭიროება და შესაბამისად გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი, 705.8.1 ქვეთავის N2 გამონაკლისის მიხედვით, კრიტიკულ ადგილებშიც არის შეუზღუდავი;

- გარე კედლებს არ აქვს პარაპეტი, რაც დასაშვებია 705.11 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, ვინაიდან გარე კედლებს არ ესაჭიროება ცეცხლმედეგობის ხარისხი.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის ქანობიანი, რომლის ნაშვერების ზომა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით აკმაყოფილებს 705.2 ცხრილის მოთხოვნებს. სახურავის როგორც კონსტრუქციას ასევე მის არაძირითად ნაწილებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ გააჩნია, რაც შენობის კონსტრუქციის ტიპის (II-B) გათვალისწინებით დასაშვებია და აკმაყოფილებს 601 ცხრილის მოთხოვნებს.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობაში დაკავებულობებიდან გამომდინარე (სმ-1, სქ და სწ-1) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები 508.4 ცხრილის თანახმად საჭირო არ არის და არც პროექტით არის გათვალისწინებული;

- საჰაერო და საკომუნიკაციო შახტები შემოზღუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავებით, რაც აკმაყოფილებს 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

- მთელ შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები;
  შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად.

- რაც შეეხება ხანძრისაგან დაცვის სხვა სისტემებს, მათი მოწყობა „წესების“ მე-9 თავის მიხედვით ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა, შენობის საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- გათვალისწინებულია ერთი დამოუკიდებელი მისაწვდომი ტუალეტი.


- შენობაში გათვალისწინებულია სასმელი წყლის აპარატი, რასაც თავისთავად გააჩნია წყლის დასალევი შადრევნის ფუნქცია და შეესაბამება „წესების“ მოთხოვნებს.

მ) ღია (გარე) ავტოსადგომის შეფასება:

- დაცულია ავტოსადგომისათვის საჭირო მოთხოვნები, კერძოდ: საავტომობილო გზის სიგანე, მოხვევის რადიუსი, აგრეთვე ავტოსადგომის ზომები, განლაგება და გასავლელები აკმაყოფილებს “წესების“ 406.9.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

დასკვნა

ქ. თბილისში, ალ. ქართველიშვილის ქ. N7-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.19.16.003.071) დაპროექტებული სამშენებლო ხელთათმანების ფაბრიკის პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი:  მაკა ძიძიგური

გამოყენებული მასალები:

შ.პ.ს „ჯეპრო" -ს მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

15.12.17წ.

მისამართი: ქ. თბილისი, მობ: 577 15 11 27

ბერიტაშვილის ქ. 31 mail: makadzidziguri@yahoo.com

მაკა ძიძიგური

პერსონალური მონაცემები:

დაბადების თარიღი: 28.08.1970წ.
დაბადების ადგილი: ქ.თბილისი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
ეროვნება: ქართველი

განათლება:

1987-1994 ქ. თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი - არქიტექტურის ფაკულტეტი

სამუშაო გამოცდილება:

1994-1997 შ.პ.ს "გრასინტერპროექტი" – არქიტექტორი

2002-2004 შ.პ.ს "თბილქალაქპროექტი" – არქიტექტორი

2004-2005 შ.პ.ს "პირამიდა-98" – არქიტექტორი

2005-2007 ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური – ქალაქგეგმარების განყოფილება წამყვანი სპეციალისტი

2007 აპრილი
2007 ოქტომბერი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური – სანებართვო განყოფილება მთავარი სპეციალისტი

2007 ოქტომბერი
2007 დეკემბერი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი

2007 დეკემბერი *2008 ოქტომბერი*	ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარცხენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2008 ოქტომბერი *2008 დეკემბერი*	ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2008 დეკემბერი *2010 ოქტომბერი*	ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2010 ოქტომბერი *2015 იანვარი*	ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური - I და II კლასების სანებართვო განყოფილების უფროსი

სერთიფიკატები:

23.04.05წ. - 05.05.05წ.	ქალაქებისა და ახალი ურბანული ერთეულების განვითარება მენეჯმენტის საკითხებში (კაირო, ეგვიპტე)
01.11.07წ. - 30.11.07წ.	საჯარო სექტორის საკითხებში მენეჯმენტის კურსი (კუალა ლუმპური, მალაიზია)
09.01.09წ. – 14.01.09წ.	ტრენერთა ტრეინინგის კურსი
17.03.17წ. – 11.04.17წ.	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების კურსი

უცხო ენები:

ქართული	–	ძალიან კარგად
ინგლისური	–	კარგად
რუსული	–	ძალიან კარგად

პროგრამები: ***MS Office (MS Word, Excel); AutoCAD; ArchiCAD; Power Point; Photoshop.***

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 003930

This is to certify that Mr./Mrs. Maka Dzidziguri in the year 1994 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 12, 1995 Mrs. Maka Dzidziguri is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector ...

Seal

Chairman of the State Examination Board ...

Dean ...

City Tbilisi November 20, 2001

Registration № 04135 Secretary ...

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 003930

მიეცა ქალბატონ მაკა ვაჟას ასულ ძიძიგურს

მასზედ, რომ მან 1994 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 12. VII გადაწყვეტილებით ქალბატონ მაკა ვაჟას ასულ ძიძიგურს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია

რექტორი ...

ბეჭედი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ...

დეკანი ...

ქალაქი თბილისი 20. XI. 2001წ.

სარეგისტრაციო № 04135 მდივანი ...


სერტიფიკატი

№ 2017-020

გადაეცემა

მაკა ძიძიგურს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი